სასწავლო ცენტრის საქმიანობის მხარდაჭერას ახორციელებენ: ევროპის საბჭო (CoE), ევროკავშირის წარმომადგენლობა (EU Delegation), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ), „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ (PRI), წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) და აშშ-ს საელჩოს სახელმწიფო ანტინარკოტიული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიურო (INL).

სასწავლო ცენტრის მოქმედი პარტნიორები არიან: საფრანგეთის საელჩო საქართველოში, აშშ-ის საელჩო საქართველოში, პოლონეთის საელჩო საქართველოში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), აჟენის (საფრანგეთი) პენიტენციური ადმინისტრაციის ეროვნული სკოლა (ENAP), კალიშეს (პოლონეთი) ციხის თანამშრომელთა მომზადების ძირითადი ცენტრი და სომხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სამართლის ინსტიტუტი.

სასწავლო ცენტრი არის ევროპის სასჯელაღსრულების აკადემიების ქსელის (EPTA) წევრი 2012 წლიდან. აღნიშნული ქსელი აწევრიანებს ძირითადად ევროკავშირის წევრი ქვეყნების სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ინსტიტუტებს. საქართველო წარმოადგენს იშვიათ გამონაკლისს, რომელიც სასწავლო ცენტრის განვითარების შეფასების საფუძველზე გაწევრიანდა EPTA-ში, სადაც ესწრება ყოველწლიურ შეხვედრებს და წარადგენს წლიურ ანგარიშებს.

სასწავლო ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს, როგორც აკადემიურ ინსტიტუტებთან ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნის ანალოგიურ სასწავლო ცენტრებთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფაგრემბლში 2013-2014 წლებში სასწავლო ცენტრის მიერ გამოფრებული იქნა რამდენიმე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი:

- 2013 წელს სასწავლო ცენტრმა ხელი მოაწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს კალიშეს (პოლონეთი) სასჯელაღსრულების სისტემის ცენტრალურ სასწავლო ცენტრთან.
- 2013 წელს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის სამართლის კლინიკის საბაკალავრო (მე-3 და მე-4 კურსის) და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პრაქტიკული კურსის განხორციელების მიზნით.
- 2014 წელს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრსა და საქართველოს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტს შორის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პრაქტიკული კურსის განხორციელების მიზნით.
- 2014 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, აგრეთვე,

აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ფარგლებში საგანმანათლებლო პრაქტიკული კურსის განხორციელების მიზნით;

- 2014 წელს ხელი მოეწერა მოკლევადიანი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის, სასჯელაღსრულების სისტემაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის, ტრენინგებისა და სხვადასხვა სასწავლო პროგრამების ორგანიზების მიზნით.
- 2014 წელს ხელი მოეწერა მოკლევადიანი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრსა და ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის ქვერეგიონულ ოფისს შორის, სასჯელაღსრულების სფეროში სხვადასხვა თემატური ტრენინგების ჩატარების მიზნით.
- 2014-2015 წლებში ხელი მოეწერა მემორანდუმს გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდთან (UNICEF), რომლის ფარგლებშიც პერიოდულად მიმდინარეობს სხვადასხვა ღონისძიებები.
- 2015 წელს ხელი მოეწერა მემორანდუმს რაულ ვალენბერგის ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტთან (ლუნდი, შვედეთი).

## II. სასწავლო ცენტრის მისია

კვალიფიციური კადრების მომზადება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმის წარმატების ხელშეწყობის მიზნით.

## III. სასწავლო ცენტრის სტრატეგიული მიზნები

სასწავლო ცენტრის მისიის ეფექტური რეალიზაციისათვის, მის სტრატეგიულ მიზნებად 2015-2017 წლებისათვის განისაზღვრება - სასწავლო ცენტრის ადამიანური



რესურსების ოპტიმიზაცია და შიდა კოორდინაციის სისტემის გაუმჯობესება; ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება; ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა; ხარისხის უზრუნველყოფის კომპლექსური სისტემისა და სასწავლო პროგრამების განვითარება; სტრატეგიული თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება; სასწავლო ცენტრის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის აკადემიად გარდაქმნა.


## 1. სასწავლო ცენტრის ადამიანური რესურსების ოპტიმიზაცია და შიდა კოორდინაციის სისტემის გაუმჯობესება

ა) სასწავლო ცენტრის *ადამიანური რესურსების გაძლიერებისა და სასწავლო პროცესის მდგრადობის უზრუნველყოფის* მიზნით, უნდა მოხდეს შტატგარეშე თანამშრომელთა (იურისტი, შესყიდვების კოორდინატორი, 4 ტრენერი, ფსიქოლოგი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, სპეციალისტი საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში) შტატში აყვანა; სასწავლო ცენტრის წესდებაში განხორციელდეს ცვლილებები და დამატებები, რომლის თანახმად დირექტორის მოადგილე იმავდროულად გახდეს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი და განისაზღვროს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის თანამდებობა; განხორციელდეს პერსონალის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებათა ანალიზი; ანალიზის საფუძველზე, განხორციელდეს სასწავლო ცენტრის თანამშრომლების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

ბ) სასწავლო ცენტრში ყოველწლიური სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვის მიზნით, უნდა გაძლიერდეს *კოორდინაცია სამინისტროსთან, პენიტენციურ დეპარტამენტთან და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან.*

გ) სასწავლო ცენტრის თანამშრომელთა და ტრენერთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რეგულარულად უნდა განხორციელდეს *სასწავლო ვიზიტები და სტაჟირებები* საზღვარგარეთის ანალოგიურ დაწესებულებებში.

დ) სასჯელაღსრულების და პრობაციის სფეროში სამეცნიერო, კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის წარმოების მიზნით გაღრმავდეს თანამშრომლობა *სამინისტროს ანალიტიკურ სამსახურთან* და *შესაბამის კვლევით ცენტრებთან.*



## 2. სასწავლო ცენტრის ინფრასტრუქტურის განვითარება

ა) სასწავლო ცენტრის შენობაში აღიჭურვოს *პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა*. კერძოდ, იმიტირებულ პალატაში სამედიცინო პერსონალის გადამზადების მიზნით, მოეწყოს შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა.

ბ) მოეწყოს და აღიჭურვოს *სამედიცინო პერსონალის გადამზადებისთვის სპეციალური სასწავლო აუდიტორია*.

გ) სამინისტროსა და მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან კოორდინაციით, პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებსა და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებში ინფრასტრუქტურის ორგანიზება, სასწავლო ცენტრის მიერ *ადგილზე სემინარებისა და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარების მიზნით*.

## 3. სასწავლო ცენტრის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა

ა) უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასწავლო ცენტრის ბიუჯეტის ეფექტური დაგეგმვა და სასწავლო ცენტრის საქმიანობის *მხარდაჭერა საბიუჯეტო დაფინანსების გზით*.

ბ) სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტთან კოორდინაციითა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით უნდა მომზადდეს რეკომენდაციები სასწავლო ცენტრის მიერ *მომგებიანი საქმიანობის განხორციელების* შესაძლებლობების თაობაზე.

## 4. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისა და სასწავლო პროგრამების განვითარება

ა) სასწავლო პროგრამების განვითარებისა და სწავლების *ხარისხის შეფასების* ეფექტური სისტემის განხორციელება, რაც მოიცავს:

- სამინისტროს სისტემაში ტრენინგ-საჭიროებათა კვლევის საფუძველზე, ყოველწლიური სასწავლო გეგმის შემუშავებას;
- სასწავლო პროგრამების შეფასებასა და განახლებას (სულ მცირე წელიწადში ერთხელ);
- ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის ხელშეწყობას;
- ტრენერისა და ტრენინგის შეფასების კრიტერიუმების დახვეწასა და განახლებას;
- სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფას;

- უკუგების სტანდარტის დახვეწას;
- მსმენელთა სერტიფიცირების სისტემის დახვეწას და ელექტრონული სერტიფიცირების სისტემის დანერგვას.

ბ) შემუშავდეს და განხორციელდეს *მომზადების გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა პრობაციის სისტემისა და სამედიცინო პერსონალისთვის.*

გ) სპეციალიზირებული სასწავლო პროგრამები სისტემის ახალი თანამშრომლებისათვის („სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად).

დ) სპეციალიზირებული გადამზადების პროგრამები სისტემის მოქმედი თანამშრომლებისათვის, რომელიც ყველა მოსამსახურემ უნდა გაიაროს 2017 წლის 1 იანვრამდე. („სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.)

ე) „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ თანახმად გაგრძელდეს *პატიმარ ქალებთან მომუშავე თანამშრომელთა გადამზადება* („ბანგკოკის წესები“);

ვ) „ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის“ თანახმად გაგრძელდეს სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა *გადამზადება ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებისა და პრეკურსორების აღმოჩენისა და შემოწმების პროცედურებთან დაკავშირებით.*

ზ) *მენტორების სისტემის გაძლიერება* პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში და დანერგვა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებში.

თ) *დისტანციური სწავლების პროგრამის* მომზადება და დანერგვა სამინისტროსა და მისი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთათვის;

ი) სასწავლო პროგრამებიდან გამომდინარე *საგანმანათლებლო ხასიათის გაკვეთილების ფილმებად გადაღება-ჩაწერა* და დისტანციური სწავლების პროცესში გამოყენება;

კ) *სასწავლო თემატური ფილმების გადაღება* და სასწავლო პროცესში ჩართვა;

ლ) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სფეროში *თემატური და მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა.*

## 5. სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება

ა) გაღრმავდეს *თანამშრომლობა საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან* ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით.

ბ) გაღრმავდეს *თანამშრომლობა სხვა სამთავრობო უწყებების სასწავლო დაწესებულებებთან* ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით.

გ) გაღრმავდეს *თანამშრომლობა საზღვარგარეთ მოქმედ ანალოგიურ სასწავლო დაწესებულებებთან* სასწავლო ცენტრის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

დ) გაუმჯობესდეს სასწავლო ცენტრის საქმიანობა *საზოგადოებრივი ინფორმირებულობის კუთხით*, რაც ხელს შეუწყობს ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას სასწავლო ცენტრსა და რეფორმის პროცესით დაინტერესებულ სხვა სუბიექტებს შორის.

## 6. სასწავლო ცენტრის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის აკადემიად გარდაქმნა

ა) შესაბამისი სასწავლო პროგრამების მომზადება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მიმართულებით (ბაკალავრიატის სადიპლომო 4-წლიანი კურსი) და განხორციელდეს მათი აკრედიტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ;

ბ) გატარდეს სათანადო ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში სასწავლო ცენტრისთვის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის აკადემიად;

გ) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის აკადემია სასწავლო ცენტრის ფარგლებში შემუშავებული სასწავლო პროგრამების საფუძველზე გააგრძელებს სასწავლო პროცესს სამინისტროს სისტემის მოქმედი თანამშრომლების პროფესიული განვითარების მიზნით.

## IV. სტრატეგიული მიზნების განხორციელების გზები

სტრატეგიული მიზნები უნდა განხორციელდეს მოქმედ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების, საბიუჯეტო და დონორებისგან მოზიდული სახსრების ეფექტური მართვის გზით, სამინისტროს

სისტემის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან და დაწესებულებებთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან, სხვა სამთავრობო დაწესებულებების სასწავლო ცენტრებთან, უცხოელ პარტნიორებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამინისტროს სისტემაში რეფორმის განხორციელებით დაინტერესებულ სხვა სუბიექტებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე.

სასწავლო ცენტრი ყოველი კალენდარული წლის ბოლოს მოამზადებს სპეციალურ ანგარიშს სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელების მდგომარეობის თაობაზე. ანგარიშის საფუძველზე, საჭიროებისამებრ, ყოველი წლის იანვარში გადაისინჯება სტრატეგიის სამოქმედო გეგმა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ გამოცემული ლიტერატურა

	დასახელება	წელი	ავტორი
1.	ტრენერთა სახელმძღვანელო პენიტენციურ პრობაციის სფეროში	2006	გ. მიქანაძე
2.	მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია საქართველოში რეალობა და პერსპექტივები, ტომი III	2006	მ. ხასია
3.	სასჯელაღსრულების სფეროში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტების კრებული	2006	
4.	ტესტების სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის	2006	
5.	სახელმძღვანელო წინასწარი საპატიმრო დაწესებულების თანამშრომელთათვის	2006	
6.	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული, I	2006	
7.	მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია საქართველოში რეალობა და პერსპექტივები ტ.II	2006	მ. ხასია
8.	პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ მართვის სისტემის თანამშრომელთა სახელმძღვანელო	2007	ნ. გუგავა
9.	განათლება სკანდინავიის ციხეებში (თარგმანი ინგლისურიდან)	2007	
10.	სახელმძღვანელო სასჯელაღსრულების დაწესებულებათა უსაფრთხოებისა და რეჟიმის თანამშრომელთათვის	2007	გ. ხუხია
11.	სასჯელაღსრულების სფეროში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტების კრებული	2007	
12.	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული	2007	
13.	სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა ტრენინგი ადამიანის უფლებების სფეროში. ტრენერის სახელმძღვანელო	2007	გ. მიქანაძე
14.	სასჯელაღსრულების სფეროში მოქმედი საქართველოს ნორმატიული აქტებისა და საერთაშორისო აქტების კრებული (2008 წლის 1 ივნისის მდგომარეობით)	2008	

15.	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული , მე-2 ნაწილი (თარგმანი ინგლისურიდან)	2008	
16.	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის სფეროში მოქმედი საქართველოს ნორმატიული აქტების კრებული (2008 წლის 1 ივნისის მდგომარეობით)	2008	
17.	პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა სახელმძღვანელო	2008	მ. ხასია
18.	Пособие для тренеров в области пенитенциарной и пробационной системы	2008	გ. მიქანაძე
19.	არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებადკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი	2008	გ. მიქანაძე
20.	სასჯელაღსრულების დაწესებულების მართვა რეფორმების პერიოდში (თარგმანი ინგლისურიდან)	2008	ე. კოილი
21.	ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სფეროში (თარგმანი ინგლისურიდან)	2008	
22.	პრობაციის სისტემათა პალიტრა ევროგაერთიანებაში შემსვლელ ქვეყნებში (თარგმანი ინგლისურიდან)	2008	
23.	დამნაშავის რესოციალიზაცია	2009	გ. არსოშვილი
24.	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული (თარგმანი ინგლისურიდან)	2010	
25.	პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული (თარგმანი ინგლისურიდან)	2010	
26.	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი 5 წლისაა	2010	
27.	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები	2011	გ.მიქანაძე , მ.შალიკაშვილი
28.	სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის მართვის შესახებ (თარგმანი ინგლისურიდან)	2011	
29.	სასწავლო მასალები არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში მომუშავე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისათვის	2011	
30.	უვადო თავისუფლების აღკვეთისა და გრძელვადიანი სასჯელების გამოყენება და აღსრულება საქართველოში	2012	მაია ხასია
31.	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული (თარგმანი ინგლისურიდან)	2012	



32.	პრაქტიკული სახელმძღვანელო ტრენერებისათვის	2012	მაია ხასია, ავთანდილ მიქანაძე, ელისო ამირეჯიბი
33.	ინტერაქცია და კომუნიკაციის ანამედროვე ფორმები ტრენინგზე, ტრენერთა სახელმძღვანელო	2012	თორნიკე გურული
34.	ციხეში ჯანმრთელობის დაცვის საკითხების მარეგულირებელი ევროპის საბჭოს რეკომენდაციებისა და სტანდარტების კრებული (თარგმანი ინგლისურიდან)	2012	
35.	ტესტები სასჯელაღსრულების სისტემის მოქმედი თანამშრომლებისა და დასანიშნი კანდიდატების ტესტირებისთვის	2013	
36.	სასჯელაღსრულების სისტემის სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომელთა საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების კრებული	2013	
37.	მენტორინგის სახელმძღვანელო	2014	მაია ხასია, ავთანდილ მიქანაძე, გიორგი გეთიაშვილი, მირანდა მერკვილაძე, ტარას ახალაია

**სასწავლო ცენტრის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა  
2015 – 2017 წლები**

სტრატეგიის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად გასატარებელ ღონისძიებებს.

სამოქმედო გეგმაში განსახორციელებელი ღონისძიებები დაჯგუფებულია 5 სტრატეგიული მიზნის მიხედვით. თითოეული ღონისძიების დასახელებას ერთვის კომენტარი, რომელიც აკონკრეტებს ღონისძიების განხორციელების გზებს. სამოქმედო გეგმაში კვარტლების მიხედვით არის გაწერილი ცალკეული ღონისძიების განხორციელების ვადები. ცხრილში მითითებულია ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი, რომელიც გაანგარიშებულია საბაზრო ფასების შესაბამისად, აგრეთვე განსაზღვრულია ღონისძიების დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები და დონორებისგან მოსაზიდი თანხების საორიენტაციო გაანგარიშების საფუძველზე.

ღონისძიება	კომენტარი	ვადები	პასუხისმგებელი/ შემსრულებელი	ინდიკატორი
<b>სტრატეგიული მიზანი 1. სასწავლო ცენტრის ადამიანური რესურსების ოპტიმიზაცია და შიდა კოორდინაციის პროცესის გაუმჯობესება</b>				
1.1. სასწავლო ცენტრის შტატგარეშე თანამშრომელთა (იურისტი, შესყიდვების კოორდინატორი, 4 ტრენერი, ფსიქოლოგი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, სპეციალისტი საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში) შტატში აყვანა	შტატგარეშე თანამშრომლების შტატში გადაყვანამ უნდა გააძლიეროს ცენტრის საქმიანობა და უზრუნველყოს მისი მდგრადობა.	2016	დირექტორი	9 შტატგარეშე თანამშრომლის შტატში გადაყვანა
1.2. სასწავლო ცენტრის წესდებაში განხორციელდეს ცვლილებები და დამატებები, რომლის თანახმად დირექტორის მოადგილე იმავდროულად გახდეს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი და განსაზღვროს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის თანამდებობა	წესდებაში შესაბამისი ცვლილებების გატარებით უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო ცენტრის სტრუქტურის გამართული და ეფექტური საქმიანობა	III-IV/2015	სამინისტრო, დირექტორი, იურისტი	წესდებაში აისახა ცვლილებები, რომლის თანახმად დირექტორის მოადგილე იმავდროულად გახდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ხოლო ადმინისტრაციულ სამსახურში დაინიშნა უფროსი

ლონისძიება	კომენტარი	ვადები	პასუხისმგებელი/ შემსრულებელი	ინდიკატორი
1.3. სასწავლო ცენტრის თანამშრომლების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებათა ანალიზი და მის საფუძველზე, სასწავლო ცენტრის თანამშრომლების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	მოწვეული კონსულტანტის მიერ საჭიროებათა კვლევის ჩატარება და საჭიროებათა იდენტიფიცირება. მოწვეული კონსულტანტების მიერ გამოვლენილ საჭიროებათა გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება.	IV/2015, III-IV/2016, III-IV/2017	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მოწვეული კონსულტანტები	განხორციელდა თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ სფეროებში
1.4. სასწავლო ცენტრში ყოველწლიური სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვის მიზნით გაძლიერდეს კოორდინაცია სამინისტროსთან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან	სასწავლო ცენტრის თანამშრომელთაგან საკონტაქტო პირის იდენტიფიცირება და მისი რეგულარული კონტაქტი სამინისტროსთან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან	III/2015 - IV/2017	დირექტორის მოადგილე	კოორდინაციის საფუძველზე სასწავლო ცენტრს რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია სამინისტროსა და მის სტრუქტურულ ერთეულებში დასაკმეებულ პირთა ტრენინგების საჭიროებების თაობაზე, რის საფუძველზეც სასწავლო ცენტრის მიერ ხდება შესაბამისი ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება
1.5. სასწავლო ცენტრის თანამშრომელთა და ტრენერთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რეგულარულად განხორციელდეს სასწავლო ვიზიტები და სტაჟირებები საზღვარგარეთის ანალოგიურ დაწესებულებებში	სასწავლო პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული და მართვის უნარების გაუმჯობესებას, უცხოური ენების დაუფლებას და სხვ. სწავლება შეიძლება დაიგეგმოს ტრენინგის, სტაჟირებისა და სასწავლო ვიზიტების ფორმით	III/2015 - IV/2017	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესების მართვის სამსახური, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ურთიერთობის საკითხებში მრჩეველი	2015-2017 წლების განმავლობაში განხორციელდა სულ მცირე 15 თანამშრომლისა და ტრენერის სასწავლო ვიზიტი და სტაჟირება საზღვარგარეთის ანალოგიურ სასწავლო ცენტრებში
1.6. სასჯელაღსრულების და პრობაციის სფეროში სამეცნიერო, კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის წარმოების მიზნით გაღრმავდეს თანამშრომლობა სამინისტროს ანალიტიკურ სამმართველოსთან და შესაბამის კვლევით ცენტრებთან	სასწავლო ცენტრის თანამშრომლის იდენტიფიცირება სამინისტროს ანალიტიკურ სამსახურთან კოორდინაციისა და საკართველოსა და ევროპაში მოქმედი კვლევითი ცენტრების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოძიების, მათთან კონტაქტის დამყარების, ერთობლივი პროექტების მომზადებისა და განხორციელების მიზნით	III/2015 - IV/2017	დირექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ურთიერთობის საკითხებში სპეციალისტი	გაიზარდა კოორდინაცია და ინფორმაციის მიმოცვლა სამინისტროს ანალიტიკური სამმართველოსთან, თანამშრომლობა დამყარდა სულ მცირე ერთ ადგილობრივ და ერთ ევროპულ კვლევით ცენტრთან, მომზადდა და განხორციელდა სულ მცირე ორი ერთობლივი კვლევითი პროექტი.

ღონისძიება	კომენტარი	ვადები	პასუხისმგებელი/ შემსრულებელი	ინდიკატორი
<b>სტრატეგიული მიზანი 2. სასწავლო ცენტრის ინფრასტრუქტურის განვითარება</b>				
2.1. იმიტირებულ პალატაში სამედიცინო პერსონალის გადამზადების მიზნით, მოეწეოს შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა	იმიტირებულ პალატა დარბაზი უნდა მოეწეოს საქართველოში არსებული სტანდარტების შესაბამისად	III-IV/2015- 2016	დირექტორი, ეკონომიკური სამსახური, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ურთიერთობის საკითხებში მრჩეველი	სასწავლო ცენტრის შენობაში მოეწეოს საქართველოში არსებული სტანდარტების შესაბამისი იმიტირებული პალატა
2.2. სამედიცინო პერსონალის გადამზადებისთვის სპეციალური სასწავლო აუდიტორიის მოწყობა და აღჭურვა	სამედიცინო პერსონალის გადამზადებისთვის სპეციალური სასწავლო აუდიტორია უნდა მოეწეოს საქართველოში არსებული სტანდარტების შესაბამისად	III/2015 - I/2016	დირექტორი, ეკონომიკური სამსახური, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ურთიერთობის საკითხებში მრჩეველი	სასწავლო ცენტრის შენობაში მოეწეოს საქართველოში არსებული სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პერსონალის გადამზადებისთვის სპეციალური სასწავლო აუდიტორია
2.3. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებსა და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებში ინფრასტრუქტურის ორგანიზება, სასწავლო ცენტრის მიერ ადგილზე სემინარებისა და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარების მიზნით	ინფრასტრუქტურა უნდა მოეწეოს საქართველოში არსებული სტანდარტების შესაბამისად	III/2015-IV/2017	დირექტორის მოადგილე, ეკონომიკური სამსახური	პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის ყველა დაწესებულებასა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ყველა ტერიტორიულ ორგანოში მოეწეოს საქართველოში არსებული სტანდარტების შესაბამისი სასწავლო ოთახი გათვლილი 20-25 მსმენელზე
<b>სტრატეგიული მიზანი 3. სასწავლო ცენტრის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა</b>				
3.1. ინფრასტრუქტურის გაკირავება, ტრენინგის ორგანიზების სერვისის გაყიდვა	ინფრასტრუქტურის გაკირავება, ტრენინგის ორგანიზების სერვისის გაყიდვა შესამდგომელია სხვადასხვა საჯარო და კერძო სტრუქტურებზე	III/2015-IV/2017	დირექტორი, ეკონომიკური სამსახური	კომერციული სექტორი ამუშავებულია და სასწავლო ცენტრი იღებს დამატებით შემოსავლებს
<b>სტრატეგიული მიზანი 4. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისა და სასწავლო პროგრამების განვითარება</b>				
4.1. სამინისტროს სისტემაში ტრენინგ-საჭიროებათა კვლევის საფუძველზე, ყოველწლიური სასწავლო გეგმის შემუშავება	საჭიროებათა კვლევა უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად, რის საფუძველზეც მომზადდება წლიური სასწავლო გეგმა	IV/2015, IV/2016, IV/2017	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	შემუშავებულია ყოველწლიური სასწავლო გეგმა

ლონისძიება	კომენტარი	ვადები	პასუხისმგებელი/ შემსრულებელი	ინდიკატორი
4.2. სასწავლო პროგრამების შეფასება და განახლება	პროგრამები უნდა შეფასდეს და განახლდეს საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მოწვეული ექსპერტების დახმარებით	IV/2015, IV/2016, IV/2017	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	არსებითად განახლდა ყველა მოქმედი სასწავლო პროგრამა
4.3. ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა	პროგრამები უნდა მომზადდეს საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მოწვეული ექსპერტების დახმარებით	III/2015-IV/2017	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	შემუშავდა და დაინერგა სულ მცირე 10 ახალი სასწავლო პროგრამა
4.4. ტრენერისა და ტრენინგის შეფასების კრიტერიუმების დახვეწა და განახლება	ტრენერისა და ტრენინგის შეფასების კრიტერიუმების განახლება უნდა განხორციელდეს საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მოწვეული ექსპერტების დახმარებით	2016-2017	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	ტრენერისა და ტრენინგის შეფასების განახლებული კრიტერიუმები დაინერგა პრაქტიკაში
4.5. სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფა	სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა უნდა განხორციელდეს საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მოწვეული ექსპერტების დახმარებით	II/2015 - IV/2017	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	ახალი სასწავლო მეთოდები აისახა სხვადასხვა სასწავლო პროგრამის სილაბუსში, განხორციელდა ტრენერთა გადამზადება და ახალი მეთოდების სასწავლო პრაქტიკაში დანერგვა
4.6. უკუგების სტანდარტის დახვეწა	უკუგების არსებული სტანდარტის შეფასება და დახვეწა უნდა განხორციელდეს საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მოწვეული ექსპერტების დახმარებით	IV /2015	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	უკუგების განახლებული სისტემა დაინერგა პრაქტიკაში
4.7. მსმენელთა სერტიფიცირების სისტემის დახვეწა და ელექტრონული სერტიფიცირების სისტემის დანერგვა	მსმენელთა სერტიფიცირების სისტემის შეფასება და დახვეწა უნდა განხორციელდეს საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მოწვეული ექსპერტების დახმარებით	III-IV/2015	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	მსმენელთა სერტიფიცირების სისტემა განახლდა და ელექტრონული სერტიფიცირების სისტემა დაინერგა პრაქტიკაში
4.8. მენტორების სისტემის გაძლიერება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში და დანერგვა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებში ეფექტურს გახდის ტრენინგავალილი თანამშრომლების მიერ ცოდნის პრაქტიკაში სწორედ გამოყენებას	მენტორების ინსტიტუტის ამოქმედება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებსა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებში ეფექტურს გახდის ტრენინგავალილი თანამშრომლების მიერ ცოდნის პრაქტიკაში სწორედ გამოყენებას	III/2015 - IV/2017	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ყველა დაწესებულებასა და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ყველა ტერიტორიულ ორგანოში ფუნქციონირებს სულ მცირე ერთი მენტორი

ლონისძიება	კომენტარი	ვადები	პასუხისმგებელი/ შემსრულებელი	ინდიკატორი
4.9. დისტანციური სწავლების პროგრამის მომზადება და დანერგვა სამინისტროსა და მისი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთათვის	დისტანციური სასწავლო პროგრამა უნდა მომზადდეს მოწვეული ექსპერტების დახმარებით	I/2016 - IV/2017	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	მომზადებულია და აკრედიტებულია დისტანციური სწავლების პროგრამა, რომელიც დანერგილია სულ მცირე 1 თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში
4.10. სასწავლო პროგრამებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო ხასიათის გაკვეთილების ფილმებად გადაღება-ჩაწერა და დისტანციური სწავლების პროცესში გამოყენება	უნდა განხორციელდეს თითოეული გაკვეთილის სცენარის მომზადება და მოწვეული კინემატოგრაფიული კომპანიის მიერ გადაღება	I/2016 - IV/2017	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, მოწვეული კინემატოგრაფიული კომპანია	გადაღებულია სულ მცირე 2 სასწავლო კურსის ყველა გაკვეთილი, ჩაწერილია დისკზე და განთავსებულია სასწავლო ცენტრის ვებ-გვერდზე
4.11. სასწავლო თემატური ფილმების გადაღება და სასწავლო პროცესში ჩართვა	უნდა განხორციელდეს თემატიკის შერჩევა, თითოეულზე სცენარის მომზადება და მოწვეული კინემატოგრაფიული კომპანიის მიერ გადაღება	I/2016 - IV/2017	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, მოწვეული კინემატოგრაფიული კომპანია	გადაღებულია სულ მცირე 3 სასწავლო თემატური ფილმი, ჩაწერილია დისკზე და გამოიყენება სასწავლო ცენტრის ტრენინგთა მიერ სასწავლო პროცესში
4.12. სასჯელადსრულებისა და პრობაციის სფეროში თემატური და მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა	სასწავლო და მეთოდური ლიტერატურა უნდა მომზადდეს მაღალკვალიფიციური მოწვეული ექსპერტების დახმარებით	IV/2015 - IV/2017	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სასწავლო ცენტრისა და მოწვეული ექსპერტები	შემუშავდა, ითარგმნა და გამოიცა სულ მცირე 6 თემატური და მეთოდური სახელმძღვანელო
<b>სტრატეგიული მიზანი 5. სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება</b>				
5.1. გაღრმავდეს თანამშრომლობა საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით	მკაფიოდ განისაზღვროს თანამშრომლობის ძირითადი სფეროები, მომზადდეს და განხორციელდეს ერთობლივი პროექტები	III/2015-IV/2017	დირექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ურთიერთობის საკითხებში მრჩეველი	წელიწადში სულ მცირე ერთი ერთობლივი პროექტი განხორციელდა; თანამშრომლობის მემორანდუმი სულ მცირე 3 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებულია.
5.2. თანამშრომლობის გაღრმავება სხვა სამთავრობო უწყებების სასწავლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით	მემორანდუმით, წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე, მკაფიოდ განისაზღვროს თანამშრომლობის ძირითადი სფეროები, მომზადდეს და განხორციელდეს ერთობლივი პროექტები	III/2015-IV/2017	დირექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ურთიერთობის საკითხებში მრჩეველი	ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია სხვა სამთავრობო უწყებების სულ მცირე 4 სასწავლო ცენტრთან; წელიწადში სულ მცირე ერთი ერთობლივი პროექტის განხორციელდა ერთ-ერთ პარტნიორთან.

ლონისძიება	კომენტარი	ვადები	პასუხისმგებელი/ შემსრულებელი	ინდიკატორი
5.3. თანამშრომლობის გადრმავება საზღვარგარეთ მოქმედ ანალოგიურ სასწავლო დაწესებულებებთან სასწავლო ცენტრის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით	არსებული პარტნიორობის გადრმავება საფრანგეთის, პოლონეთისა და სომხეთის სასწავლო ცენტრებთან და ახალი პარტნიორების იდენტიფიცირება	IV/2015-IV/2017	დირექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ურთიერთობის საკითხებში მრჩეველი	განხორციელდა სულ მცირე 3 გაცვლითი ვიზიტი პარტნიორებთან; გაფორმდა შემორანდუმი სულ მცირე ერთ ახალ პარტნიორთან.
5.4. სასწავლო ცენტრის საქმიანობის გაუმჯობესება საზოგადოებრივი ინფორმირებულობის კუთხით	რეგულარულად განახლებადი ორენოვანი ვებ-გვერდი; რეგულარულად განახლებადი გვერდი სოციალურ ქსელებში; ყოველწლიური ორენოვანი ანგარიშის მომზადება და გამოცემა	IV/2015-IV/2017	დირექტორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი	ვებ-გვერდის განახლება ხორციელდება ყოველკვირულად; სოციალურ ქსელებში გვერდის განახლება ხორციელდება ყოველკვირულად; ყოველწლიურად ორენოვანი ანგარიშის წარედგინა ფართე აუდიტორიას
<b>სტრატეგიული მიზანი 6. სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის აკადემიად გარდაქმნა</b>				
6.1. შესაბამისი სასწავლო პროგრამების მომზადება სასჯელადსრულებისა და პრობაციის მიმართულებით (ბაკალავრიატის სადიპლომო 4-წლიანი კურსი) და მათი აკრედიტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ	ბაკალავრიატის პროგრამების შემუშავება უნდა განხორციელდეს საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მოწვეული ექსპერტების დახმარებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით	IV/2015 - 2016	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სასწავლო ცენტრისა და მოწვეული ექსპერტები	სასჯელადსრულებისა და პრობაციის ბაკალავრიატის სადიპლომო 4-წლიანი კურსი მომზადებული და აკრედიტირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ
6.2. გატარდეს სათანადო ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში სასწავლო ცენტრისთვის სასჯელადსრულებისა და პრობაციის აკადემიად გარდაქმნის მიზნით	მომზადდეს ცვლილებათა პაკეტი საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში სასწავლო ცენტრისთვის უმაღლესი სასწავლებლის - აკადემიის სტატუსის მინიჭების უზრუნველსაყოფად	IV /2015	დირექტორი, იურისტი	საქართველოს კანონმდებლობაში გატარებული ცვლილებების საფუძველზე სასწავლო ცენტრმა უმაღლესი სასწავლებლის - აკადემიის სტატუსი შეიძინა